

## სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 10

ქ.თბილისი

16 აპრილი 2014 წელი

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ.თავზარაშვილმა, კომისიის წევრების: ე. ნაჭყებიას ლ. ჩიკვაიძის, ი.ჩიქავას და მონაწილეობით მ/წლის 16 აპრილს შევადგინეთ ოქმი შემდეგზე:

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით განიხილა სრკ სამეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის დ. ფულარეას ოქმი.

### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ამა წლის 11 აპრილს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩი სენაკის „ჯიხა“-სა და საჩხერის „ჯრუჭი“-ს შორის. მატჩის მეთვალყურედ დ. ფულარეას ოქმის და მთავარი მსაჯის ი. საჯაიას მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გამოვლინდა შემდეგი დისციპლინარული დარღვევები :

#### სენაკის „ჯიხა“

1. ნიკა ბერაია (№5) - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

#### საჩხერის „ჯრუჭი“

1. გიორგი სივსივაძე (№8) - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი №1- ს 2.5 პუნქტით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კლუბ სენაკის „ჯიხა“-ს მორაგბე ნ. ბერაია(№5) დისკვალიფიცირებული იქნას 4 (ოთხი) სათამაშო კვირით.
2. კლუბ სენაკის „ჯიხა“-ს დააკლდეს 1(ერთი) საცხრილო ქულა.
3. კლუბ საჩხერის „ჯრუჭი“-ს მორაგბე გ. სივსივაძე(№8) დისკვალიფიცირებული იქნა 4 (ოთხი) სათამაშო კვირით.
4. კლუბ საჩხერის „ჯრუჭს“ დააკლდეს 1(ერთი) საცხრილო ქულა.

/ე. ნაჭყებია /

/ ი.ჩიქავა /

/ლ. ჩიკვაიძე /

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი /

